საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №112

ქ. ბათუმი 11 ოქტომბერი, 2018 წ.

„საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესარჩევი კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 9 ივნისის №36 დადგენილებაში დამატების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე–8 მუხლის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესარჩევი კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 9 ივნისის №36 დადგენილებაში შევიდეს შემდეგი დამატება, კერძოდ, დადგენილების N1 დანართში, **მე-8 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 და მე-6 პუნქტები:**

„5. დასაშვებია პროექტის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე, მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის სამოქმედო გეგმაში ან/და ხარჯთაღრიცხვაში (დამტკიცებული ბიუჯეტის ფარგლებში) განხორციელდეს ცვლილება. განცხადება წარმოდგენილი უნდა იქნეს გონივრულ ვადაში და უნდა იყოს თავსებადი შესაბამისი პროექტით გათვალისწინებული აქტივობის შესრულების სამართლებრივ და ფაქტობრივ საფუძვლებთან.

6. პროექტის სამოქმედო გეგმაში ან/და ხარჯთაღრიცხვაში ცვლილების შესახებ სამართლებრივი აქტი გამოიცემა:

ა) მხოლოდ სამოქმედო გეგმის ცვლილების შემთხვევაში - ბსუ-ს რექტორის ბრძანებით;

ბ) პროექტის სამოქმედო გეგმაში და ხარჯთაღრიცხვაში ცვლილებების შემთხვევაში - ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ ვიზირებული ბსუ-ს რექტორის ბრძანებით;

გ) მხოლოდ პროექტის ხარჯთაღრიცხვაში (პროექტის ბიუჯეტის არაუმეტეს 10 %-ის ფარგლებში) ცვლილების შემთხვევაში - რექტორის მიერ ვიზირებული ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით".

2. წინამდებარე დადგენილება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, ფაკულტეტებს, დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს, 2018 წელს გამარჯვებული მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ხელმძღვანელებს და ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს: სამეცნიერო კვლევევის სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს (კორდიფიცირებისათვის), ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

3. დადგენილება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

4. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოც. პროფესორი მერაბ ხალვაში